ორშაბათი, 22 აგვისტო № 33

წელიწადი 1911 პირველი

თ ე თ ი

ორშაბათი, 22 აგვისტო № 33

ფასი გაზეთისა წლიურათ—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—2 მან 3 თვით—1 მან.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს —20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპოდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 12 საათამდის რედაქციაში (Дворцовая ул. д. Д. САРАДЖЕВА № 6. ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით.

მიიღება ხელის მოწერა
1911 წლისათვის
გაზეთ თემზე

ფასი გაზეთისა:

წლიურათ	2 მ. 50 კ.
ნახევარი წლით	1 მ. 25 კ.
სამი თვით	1 მ.

განცხადებათა ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი	15 კ.
უკანასკნელ გვერდზე	10 კ.
ტექსტის შუაგულს	20 კ.
სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა	3 მ.

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი. გამომცემელი ზრიგოლ დიასამიძე. გაზეთის საქმეების გამო რედაქციის მდივანი დავით კასრაძე მიიღებს 11 ს.—12 ს. ყოველ დღე. რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая ул., д. Д. САРАДЖЕВА № 6.

ამ წლის 14 აგვისტოდან
ქ. ქუთაისში გამოდის ყოველ-დღიური სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი
„მნათობი“

გაზეთის ფასი წლიურათ 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., 3 თვით 2 მ. 20 კ., 1 თვით 80 კ. ქუთაისს გარეთ: 3 თვით 2 მ. 50 კ., 1 თვით 90 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქ. 15 კ. უკანასკნელ გვერდზე 10 კ. სამგლოვიარო განცხ. 1-ხელ დაბეჭდვა 3 მ.

რედაქტორ-გამომცემელი რ. პ. ვაჭრიძე.

რედაქციის ადრესი: Балахванская, д. № 12.

თბილისის ქართულ ფილარმონ. საზოგადოების
სამუსიკო სკოლა

(პაპიროსის ქუჩა, ყლენტის სახლი № 18.)

მოწაფეთა მიღება: პორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერისა (solo) და თეორიისა და ნოტების კითხვისა (solfegio) კლასებში დაიწყება 25 აგვისტოს დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო ბ. მ. კნ. **ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგ-პივოვაროვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. მ. ფოგელისა** და **თ. ს. შაბუროვისა.** სკრიპკა—ა. ნ. **ყარაშვილი.** ვიოლონჩელი—ე. ნ **კაპელნიცკი.** კონტრაბასი—მ. ი. **შერშოვი,** სიმღერა (solo) ე. მ. **ბროჯი,** ელემ. თეორია, ნოტების კითხვა, გარმონია და ენციკლოპედია—ზ. პ. **ფალიაშვილი,** ხოროს კლასი—ნ. პ. **სულხანიშვილი.** სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 60 მან. წელიწადში, მხოლოდ სიმღერა (solo) 75 მან. თეორეტიული კლასებისა 15 მან. წელიწადში. ფულის გადახდა მოხდება ნახევარ წლობით წინდაწინ, ე. ი. სწავლის დაწყებისთანავე, სექტემბერში და იანვარში. ამ ზემოაღნიშნულ დროზედ მოხდება ხმების გაშინჯვა იმ პირთა (ქალთა და ვაჟთა), რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფასით **ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში** არსებულ მგალობელთა გუნდში.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს

(6—1)

ახალი კლუბი

სამშაბათს, 23 აგვისტოს 1911 წ. ტელეფ.№ 795.

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

საზაფხულო თეატრში ქართულად წარმოდგენილი იქნება:

I

ერთი ფუთი უგედურებამდინ

ვოდ. 1 მოქ. ვ. ბალანჩივაძისა

II

მუსიკალური განყოფილება ი. პ. სარაჯიშვილის მონაწილეობით.

დასაწყისი 9 ს. საღ.

სტუმრები იხდიან: კაც. 1 მ., ქალ. 50 კ., სტუდ. 25 კ.



ამხანაგობა

ურჩევს ყველას იყიდონ მისგან საკუთრად მომზადებული:

„ბელა“—ტუალეტის საპონი.

„ბელა“—სუნნელოვანი პუდრი.

„ბელა“—საცხებელი კრემი პირისა და ხელებისათვის.

რესტორანი
„კაფე-პარიზი“

ქართული თეატრის ეზოში (სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო, ცხელი „პიროჭკები“ სხვა და სხვ. ბუტერბროდები, ხაჭაპური.

საუზმე პორციობით 25 კ.—50 კაპეიკამდე.

საღილები: 2 ფერი—50 კ. 3 ფერი—70 კ. 4 ფერი—1 მან

მინერალური წყლები

ღვინო, არაყი, მაგარი სასმელები სხვა და სხვა ჭარხნების ლუდი ბოთლებით და ჭიქებით.

ცხელი პორციები, წვენი, შემწვარი. შეიძლება საჭმელების მოთხოვნა ცალკე კარტითაც. თვიურად შეღავათიანი პირობებია. ფასი ზომიერია. სრული სასუფთაო წესიერება.

პატივის-ცემით თოფურია.

გაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის
ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა $11^1/_2$—$12^1/_2$-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა $11^1/_2$—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ. სნეულ.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა, შინაგანი ავად. $11_1/^2$—12 ს.

ნ. მ. მელიძიშვილი—ყოვ. დღე კვირის გარდა 1—2. ქირურგ. და ქალებ. სნეულ.

შ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე 1—2 ს. შინაგ. დაბავშვ.

გ. ვ. სოგოლევსკი—ყოვ. დღე კვირის გარდა 2—3-დე ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი ჩვენისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

წამლობა „606“-ითა

თბილისი, 22 აგვისტო.

დიდებული შეტაკება შრომასა და კაპიტალს შორის ინგლისში გათავდა,—დასრულდა მუშათა ორგანიზაციების გამარჯვებით. რომ ასეთ კაპიტალისტურ ქვეყანაში გაფიცვამ შესამჩნევ გაბედულებას მიაღწია—საკვირველი არ არის;—ყველამ იცის, თუ როგორი სისასტიკით ეპყრობა შრომას განვითარებული—უმწვერვალესობამდე მისული კაპიტალისტური წარმოება, ყველამ იცის როგორის გულცივობით შეჰყურებს ის ადამიანის შიმშილს, წყურვილს,—თვით სიკვდილსაც;—მისთვის არ არსებობს არაფერი გარეშე შეუბრალებელ ეკონომიურ ბრძოლისა, სადაც ცალკე ადამიანს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.—ასე არის ყველგან, ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მხოლოდ ინგლისი წინეთ შესამჩნევად იყო მოკლებული ამ საერთო აუცილებელ მოვლენის სისასტიკეს, ე. ი. უკეთ რომ ვთქვათ, აქ ნაკლებად აშკარავდებოდა, ნაკლების გაშმაგებით სწარმოებდა ბრძოლა კაპიტალსა და შრომის შუა. ეს ის დრო იყო, როდესაც მსოფლიო წარმოებაში ინგლისს უპირველესი ადგილი ეჭირა, როდესაც მედიდურად ბრძანებლობდა მთელ ქვეყანას ეკონომიურად ამ დიდებული ნაციის სავაჭრო—შესაფერი სამხედრო ძალით გამაგრებული, ფლოტი;—მთელი კაცობრიობის წარმოებას დაპირდაპირებული ქონდა ინგლისის წარმოება,—ეს უკანასკნელი მსოფლიო ბაზარის ბატონ-პატრონათ იყო აღიარებული. საკვირველი არ არის, რომ შრომა და კაპიტალი ასეთ განსაკუთრებულ მდგომარეობის კუნძულის სახელმწიფოისა თითქმის შეკავშირებული იყვნენ,—კაპიტალისტთან ერთად მუშაც ბატონათ გრძნობდა თავის თავს უცხოეთის წარმოებისა და შრომის წინაშე;—ამ უკანასკნელის (მუშის) მდგომარეობა შედარებით უცხოეთის მომუშავესთან უზრუნველ-ყოფილი იყო.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სოციალისტურმა მოძრაობამ ინგლისში ძალიან სუსტი ფესვები გაიდგა და უპირველესი ადგილი ბურჟუაზიულ ორგანიზაციებმა—ტრედ-უნიონებმა დაიკავა. მაგრამ გავიდა დრო—მსოფლიო ეკონომიურ ბრძოლაში მედგრად შეიჭრენ: გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა სახელმწიფოები, რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფასით ბრძოლა გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო; ორასი წლის ინგლისის ეკონომიურ განვითარების გამოცდილებით გამდიდრებულებმა შეერთებულმა შტატებმა და გერმანიამ შესანიშნავი უნარი გამოიჩინეს და ინგლისს ქვეყნის მბრძანებლობა ჩამოართვეს. ეს მოვლენა სასტიკი პირდაპირობით შეიჭრა ინგლისში: შრომა დაშორდა კაპიტალს, რადგან ცხოვრება გაძვირდა. კაპიტალიზმმა მაინც თავისი ქნა: წარმოებაში ორი მოპირდაპირე ერთმანეთს დაატაკა, დროებითი ზავი საშინელ ომით აქცია;—სოციალისტურმა მოძღვრებამ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა და ტრედ-უნიონებმაც გამოიღვიძეს... ეხლანდელი, უკვე დამთავრებული გაფიცვა, ერთ-ერთი ეტაპია, ამ უკანასკნელ ხანს ინგლისში გაჩაღებულ ბრძოლაში. მხოლოდ ეტაპი,—ამიტომ ზავი დროებითია, კაპიტალიზმი თავის განვითარებაში თვით შობს წინააღმდეგობას და მომავალს ამით მტკიცე ნიადაგს უყრის...

ცოტა რამ ნაციონალურ კითხვის შესახებ.

(წერილი მეორე *)

როგორც წინა წერილიდან დავინახეთ, ანთროპოლოგია ბევრათ ვერაფრად უმტკიცებს საფუძველს ნაციონალობას. ხოლო რაკიღა ეს ვერ მოახერხეს, მაშინ მიჰმართეს თვით **ისტორიის უფლებრივ საფუძველს.** ხალხის შემაერთებელი,—გვეუბნებიან,—ისევ ისევ მათი წარსული, მათი საზოგადო ბედი, საზოგადო ცხოვრება და ერთი და იმავე მთავრობრივი მმართველობა, კანონები, ზნე-ჩვეულება, საერთო მწუხარება თუ სიხარული. კიდევ ბევრი რამ უთქვამთ რიტორიული ალმაფრენით, მაგრამ ჰღირს პატარა ხანს დაფიქრდეთ და თქვენ ხელში შეგრჩებათ წარმტაც სოფიზმის თაიგული, რომლის ყვავილები თითო სულის შებერვაზე შეგიძლიანთ ეთერს თვის ნავად გაატანოთ. ჰკითხეთ, ბ-ნებო, პირველ შეხვედრილ მეგრელს, ქართველი ხო არა ხარო, იგი დღესაც კი, როდესაც პოლიტიკური ცხოვრებით ბევრად თუ ცოტად გაყვრთიანდით, ვიდრე ამ რამდენიმე საუკუნის წინ, დაუფიქრებლად გეტყვით: არა ბ-ნო, მე მეგრელი ვარო. ასევე გეტყვით იმერელი, ასე ფიქრობს ფშაველი, ქართლელი იმერლობას ითაკილებს, კახელი კიდევ ორივეს ერთად. და ეს არის თითქმის ყველა ეროვნებათა შორის, ჩვენს მზგავს მაგალითს დაინახავთ გალიცელ რუსინებში, რომელნიც თავს მის დღეში პოლონელად არ ჩასთვლიან, მიუხედავად იმისა, რომ ქართლ-იმერელ-მეგრელ-ფშაველები თუ რუსინ-პოლონელები ათასი წლობით თავიანთ არსებობის ისტორიის სარბიელზე იზიარებენ ერთსა და იმავე ბედს, სცხოვრობდნენ ერთის კანონებით, ერთგვარი სახელმწიფოებრივი დაწესებულებებით, ერთის სჯულით, ერთსა და იმავე ზნე-ჩვეულებით.

თქმა არ უნდა, სჯულისა თუ დაწესებულებათა ერთობა, განსაკუთრებით ზნე-ჩვეულებათა ერთგვაროვნება აახლოვებს და აერთებს ერს, როგორც ერთგვარ მოჯირისუფლეს, ისიც კარგად ვიცით, რომ ებრაელობა ყოველთვის უცხოდ უცხვიათ არა თუ ბარბაროს ჰეშმარიტ რუსებს, არამედ ბევრად წინ წასულ კულტუროსან სახელმწიფოთაც კი. თვით ისეთი მოაზრეც კი, როგორც ახლად აყვავებული და უდროოდ მოწყვეტილი მეცნიერების სარბიელზე მეტეორასავით გავლილი ოტო ვაინინგერი იყო, რომლის ძარღვებშიც წვინდა ებრაელური სისხლი სჩქეფდა, დიახ, აი, ეს ოტო ვაინინგერი მოაკვდინებელ მახვილსა სცემს ებრაელობას, მხოლოდ იმიტომ, რომ იგინი (ებრაელები) უხსოვარ დროიდან ბრმად დაჰბღაუჭებიან ზერელე ძველის ძველთა ზნე-ჩვეულებათ («სქესი და ხასიათი“—ოტ. ვაინინ.). მართლაც ებრაელთა ძველი ჩვეულებანი, წელთ-აღრიცხვა, უქმე დღეები თუ მარხულობანი დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტიან მოქალაქეთა ჩვეულებებს და ძალა-უნებურად ჰბადებდნენ მათში განცალკევებისადმი მიდრეკილებას.

ამნაირად, **არა კმარა ამგვარი გაერთიანება ხალხთა, რომ მათგან გამოვამუშაოთ და შევქმნათ ერთი ხალხი, ერთი ეროვნების სახელმწიფო.** არა! ყველა ეს ის საბავშვო ნივთები არიან, რომელთაც ეშმარიტება ერთი სულის შებერვით საბნის ბუშტსავით გააჭრობს. ტანადობას თუ შევხედეთ, იშვიათად თუ ვისმეს შუბლზე ამოვიკითხოთ ვინ არის იგი. საზოგადოდ, ადამიანის ამ მხრით ცნობა არც შეიძლება და ვერც თუ როდისმე დავამტკიცებთ. და მთელი ეს ყბედობა სისხლზე, ანუ როგორც წინა წერილში განვმარტეთ, გვარტომობრივ წარმოშობაზე, გახლავთ ის ობობას ქსელი, რომელსაც, ასე ვსთქვათ, მეშჩანურ მელოდრამების ავტორები ჰქსოვენ. ნაციონალობას ვერა მარტავს არც გვარი, არც სჯული, არც თუ დაწესებულებანი და ზნე-ჩვეულებანი, თუმცა ამათი გავლენის უარისყოფაც შეუძლებელია, როდესაც ერის ხასიათზე ვლაპარაკობთ. ყველა ეს, ჩემის აზრით, **ენის** საქმე გახლავთ. **ენა,** აი ის ძლიერი იარაღი რომლითაც თვითოეული ინდივიდუუმი კაცობრიობის ჰაზროვნების ფერხულში ებმის, ჰგრძნობს და შეიმცნებს თავის ხალხის თვისებათ, სცნობს ერის იმ სითბოს, რომელმაც გაჰრანდა და გამოიმუშავა ეს ენა და რომ ამ იარაღით რწმუნებული ჰყო იგი, აღტურვა, რომ მით გადმოსცეს სულის უღრესი მისწრაფებანი, დაფარულ ჰაზროვნების ლაბირინტის ბჭეთ შეჰხსნას კარი და გვაჩვენოს უნჯნი ზრახვანი თუ შეხედულობანი მსოფლიოს ჯადოსნურ შემეცნებაზე! ენის საშვალებით ინდივიდუუმი ხდება თავისი ხალხის მგოსანთა, მოაზრეთა თუ მოძღვართა ნათლულ შვილად. ენითვე იმყოფება იგი საზოგადოებრივ ზეშთაგონების მოქმედების ქვეშ, რომელიც გამომდინარეობს ამა თუ იმ ხალხის ისტორიისა თუ ლიტერატურის ფურცლებიდან, შეუმჩნეველად ავალიანებს, ყურში მომხიბლველ ზღაპრად ჩასჩურჩულებს რაღაც უაღრეს, მშობლიურ ჰანგს, გრძნობას დაუკმევს გუნდრუკად და შევარდენის ფრთით ააფრენს შვიდ ლაჟვარდის ცად! ენა ეს თვით ადამიანია! იგი საშვალებას აძლევს ადამიანს ადვილად შეიმცნოს მსოფლიოს დიად მოვლენათა მოხაზულება, ეს ის იარაღი გახლავთ, რომლითაც ვიპყრობთ, ვაქვეყნებთ გულის ზრახვათ და მილიარდ სულთა ჰაზროვნების ძაფს ვიპერთ ხელში, ვცხოვრობთ წარსულით, ვცხოვრობთ ამწყოთი და მომავალსაც ეფემერული სურათებით ვხაზავთ, განვიცდით! ენა თვით კეისარ-ნაპოლეონის უძლიერესი მახვილია, ცის ძირს ჩამოსატანად, მსოფლიო რუქის გასაშლელად, ზღვა გულის დაზგად დასადგმელად, სადაც ყოველი წერტილი, ყოველი საიდუმლო კუნძული უსათვალეებოდ დაინახვების! ათასთა და ასი ათასთა, მილიონთა და მილიარდთა შორის მხოლოდ ერთი ჰაზროვნებს დამოუკიდებლივ და გრძნობით შთაბეჭდილებას გარდაჰქმნის ორიგინალურ წარმოდგენათ! მილიონები ჰფიქრობენ და ბღავიან ისე, როგორც ჰფიქრობენ და ბღავიან მთელ-საუკუნეთა განმავლობაში, ჰფიქრობენ და ბღავიან, მაღალ ხმით მოსთქვამენ იმაზე, რაც რომ ენითვე მიუღიათ ძვირფას სამკვიდროდ, სტირიან და იცინიან, სჯავრობენ და ლმობიერი ხმით ჰღაღადებენ, კარგსა და ბოროტს უწოდებენ, რაც ძველთა უნჯ სალაროში ჩაუკუნჭიათ ენის მახვილით! ენა, ეს თვით დადუმებულ სერაბიმის მეტყველებაა, კეკლუც ბუნების თაიგულის აღმხატველი კალამი, რომელიც უსულო ტილოს, გაუხორკნავ ყამირს, ტლანქ მარმარილოს, უსახო ჰაოსს, არარაობის ნაკვთებსაც კი სრულს ფორმით აგვირისტებს, ვით მოკიაფე ვარსკვლავთ ქსოვილს! იგი თვით იდუმალ ზრახვათა სალამურია, რომელიც ჰკვნესის ვით დრიდა ობლად ფუღურში, ხან კი კისკისებს, ვით ნაიდა მთვარიან ღამეში მიძინებულ ტბის ვერცხლის ზვირთებში ჭყუმპალაობს, გვაგონებს ქვითინს შორს გამხდარ ქვეყნიერების წუხილისას, უაზრობას ჰქმნის აზროვნებად, იგი ყოვლისფერშია, ვით ყოვლისფერს შეიცავს თავის არსებაში, ეთერზე უმსუბუქესი და მთელს კოსმოსზე უმძიმესი იგი დაჰკრთალავს სივრცის უდაბნოში, ჰკვნესის და მეტყველებს, მეტყველებს და ჰკვნესის, მუნჯობს და საყვირს სცემს, ჰბგერს და მუნჯობს, კისკის—შრიალით თუ გველთა სისინით გახედებთ ბუნების დაბშულ საიდუმლოებაში და ყრუ დუმილში შეგასმენთ ხან სირინოზთა მომხიბვლელ ჰანგებს, საღვთაებრიო პოეზიის მელოდიებს, ხან კი ჯოჯოხეთის სულთ წივილ-კივილსა.

ენა ეს თვით გერმენის ჯაჭვი გახლავთ, რომელიც აერთებს ყველა ხალხსა. ძმები, თუ რომ სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენ, ერთურთისათვის უფრო უცხონი იქნებიან, ვიდრე პირველი შეხვედრილი, რომელიც სამშობლო ენაზე გამოელაპარაკება მათ. გვინახავს ძველად, ახლაც მრავლად გვიდევს მაგალითები წინ, თუ რა შუღლსა მტრობას უცხადებდენ საქართველოს დაქუცმაცებული ნაწილები: ქართლი იმერეთს, კახეთი ქართლსა... ქიშპობასა და ერთურთის სისხლის ღვრას საზღვარი არა აქვს, მაგრამ ღირდა, რომ საქმე არა ქართველ მტერის მიტევაზე მიდგომილიყო, რომ ქართლ-იმერეთი ქუდზე კაცს გამოიყვანდა, ყველანი ერთგვარად იცავდნენ მამულს, სჯულს, ენას, ყველა თანაბრად ჰგრძნობდა **საქართველოს მამულის შვილად!** მლიქვი სპარსეთი თუ გაიძვერა ოსმალო ამაოდ სცდილობდა მთელ ურდოთა შემოსევით ქართველთა გატეხას, ვერც ოშივარ ანადენი ქარქაშით ამოწვდილი მახვილით, ვერც თუ ცბიერი დამოყვრებით ვერასა ხდებოდა. მიჰქროდენ საუკუნენი და ყოველი მოძულე მტერი საქართველოს დიდების წინ მდაბლად დაკნინებული და შერცხვენილი იდგა მარად ჟამს. ასევე ხდება მთელს მსოფლიოს ისტორიაში. ერს, ვისაც ორიგინალური სახები დაუცავს, იგი ადვილად ვერ დასთმობს წინაპართა ჩონჩხის აკლდამაზე აგებულ დღეისის ტაძარს. ფლანდრია ლ ჰოლანდია ერთმანეთს კინაღამ შეაკვდნენ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ოც წლებში, მაგრამ დღეს ისევ ძმურად უწვდენენ ერთმანეთს ხელს. როდესაც ბურები ებრძოდნენ ინგლისელებს, ნიდერლანდიაში ყველას გული სჩომარ დაფდაფების ხმებითა სძგერდა, თუმცა ყოველი კაეშირი ჰოლანდიისა და ტრანსვაალს შუა ერთი საუკუნის წინ უკვე შესწყდა. ასევე იყო დანელთა და ნორვეგიელთა თავს შლეზვინგ-გოლშტეინთა ომიანობის დროს, ამავე სულიერ ჰიმნით შეხმატკბილდნენ შვეიცარიელნი და ბელგიელნი, რომ 1871 წელს საფრანგეთისთვის მხარი დაეჭირათ და სხვ. და სხვ.

ამნაირად, **ენა ყოფილა ყოველისფერი.**

დ. კ—ძე.

გაბრიელ ეპისკოპოზის წერილების გამო.*)

—

ეპისკოპოზი გაბრიელი სწერს ექსარხოსს გაბრიელს, 1889 წ. ივლისის 3 № 1608-თ, შემდეგს:

„თქვენის მაღალუსამღვდელოესობის მოწერილობის გამო, მაისის 21-დან ამ წლისა

*) იხ. „თემი“ № 32.

*) იხ. № 32 „თემისა“.

№ 515-ის ამის შესახებ, ვითომდა მკრეხელობით იყოდებოდეს ზოგიერთა შესანიშნავი სიძველენი და სეფოსეული საღვთო ნივთები როგორც გელათის, ისე იმერეთის ეპარქიის სხვა მონასტრებისა და ტაძრებისა, მე, მინამ არსებითად ბასუხს მოგიგებდე, მოგიყვან ერთს მაგალითს, რომელიც მოხდა სახელდობრ გელათის მონასტერში ამ სამი-ოთხი წლის წინად, შემთხვევას, რომელიც ნათლად გიჩვენებთ, რამდენად სამართლიანად და საფუძვლიანად ჩაითვლება ბრალდება იმერეთის ეპარხიის ბერებსა და სამღვდელოებაზე, რომელსაც ამათ ბრალებს გრაფინია უვაროვისა და სხვა ბერიანება.

„როგორც ზემოდ მოგახსენეთ, სამი თუ ორის წლის წინად, ერთმა დიდხარისხოვანმა ბერმა (ამის სადარბაზო ბარათზე, როგორც მახსოვს, ქუერა: სტატს-სეკრეტრის სმხანაგი ზვენიგოროდსკი) ნახა გელათის მონასტერი და დათვალიერა მთლად ყველა საძველენი და ნივთები.

შენიშნა ამან ტრაპეზში ერთი ბაწკარა ხატი, რომელიც საკმაო და საგანაო ტოტა რამ მეტი იქნებოდა სამი თითის დადებაზე. ეს ხატი მიკვეშარებული იყო მდეთის მშობლის ხატთან, რომელიც ესვენა ტრაპეზში პრქაელის საკმდომს უკან. ის დიდხან სანჯვლა ხატსა და ბოდის მიაცივდა წინამძღვარს და მონასტრის ძმათა, მაეუდათ ის ხატი, შეძლია 700 მ., მაგრამ უარი მიიღო; როდესაც ის არ ჩამოაცხნა ბერებსა და თანდათან უმატებდა ფასსა, რომ როგორმე შეეცდინა ისანი, მაშინ, რომ თავიდან მოეშორებინათ იგი, უთხრეს, ჩემთვის მოგამარონა. ზვენიგოროდსკი მობრძანდა ჩემთან ქუთაისში და დიდის გულმოდგინებით და ასე განსინჯე ბერიფერობით მეხვეწებოდა, ნება მომეცა ბერებისთვის, ის ხატი მეეყიდნა, და შემომძღაა ათასი მანეთი და მეტიც. მე გკეკიერვებით და თითქმის სიეეედურით გეუთხარი: „არა თუ ათასი მანეთი, ემ სასოში ერთი მილიონიც რომ ამოდგეთ და წინ დამიწეოთ, მაშინაც კი არ დავთანხმდები, რადგანაც სირცხვილი და უმეერობაა ხატისა და სხვა საღმოო ნივთების გაეიდვა“. ეს ჯეშმარიტი შეთხეევე, ჩემის აზრით, სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რაშიაც ბრალს სდებს ბერებს გრაფინია უვაროვისა და კრაფი ბობრინსკი, ბერიქონი სრულს წინააღმდეგს ამტკიცებს. ბაჭია ხატი, რომელზედაც მაქვს დაბრკა, ისე შეემჩნეველი იყო, რომ მე თვით ბერეველად მიყაქცე უარადების ზემოდმოეევანილი შემთხვევის შემდეგ, თუმცა ასეკვლად შემიხვდნა დიდი ხატისათვის, რომელზედაც მაკვირებული იყო.

„ეი რა საკვთესო შემთხვევა ჭქონდათ გელათის ბერებსა, რომ მიეღოთ დიდი ფული პაწია ხატში, რომლის კაეიდვას, არ ქონას ვერავინც ვერ შენიშნავდ, მაგრამ, ხომ ჭქედვთ, არ მოტეეედნენ. ადეირედი შემთხვევა ცხადად ამტკიცებს აკრეთვე, რამდენად ბრძავდებიხ ზოგიერთი ამ სურვილით, რომ შეიძინონ ძველი ნივთები, ამისთან არც კი სტვენიათ კ არ ერიდებიან, შეაცდინონ სხვა-რად ბერები დიდი ფულის შეძლეეით, არ ესმით, რა დიდი ცოდვა სღმთო ნივთების ყიდვა ეკკლესიებიდან და კაცდემა შესანახად მუზეუმში, ე. ი. საცინად აკდებს მათი. ამიტომ სამართლიანია ტფილისის საეკლესიო-არქეოლოგიური კანეფილების წევრთა შენიშნა, რომ გრაეი ბობრინსკი უფრო კარგს იზამდა ცნობებია მონასტრის წინამძღვრისათვის, ვინ სთხოეა ამას, რომელიცაც ძველი საეკლესიო ნივთის შესეედეა. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ბერებმა მართლა შეასრულეს ეს ვედრება, რომ ბერებმა ნამდვილად მიჰყიდეს ეს ხატი, ეს ნივთი, ეს ძველი ნივთი, რომელიც ეკკლესიისა და ერის საკუთრებაა, ვინ ეცოდინებოდა ამ ნივთის ნამდვილ ფასს? ვინ ეცოდინებოდა, რომ ეს ნივთი ეკკლესიისა და ერის საკუთრებაა

ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲪ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗ.

ბიბინა

ორშაბათი, 3 ივლისი 1911 წელი.

ჩვენი ცხოვრება.

ჩვენ ხშირად გვსმენია, რომ ჩვენ ერს ცხოვრება არ აქვსო. ეს ის ერებზე ითქმის, რომელნიც ისტორიულ ასპარეზზე ადრე გამოვიდნენ, მაგრამ ამ ასპარეზზე ხანგრძლივად ვერ დარჩნენ და ისტორიის ფურცლებზე მხოლოდ სახელი დარჩათ მათი. ასეთ ერებზე ითქმის, რომ ცხოვრება არ აქვსო. ჩვენ ამ ერებს არ ვეკუთვნით. ჩვენ ისტორიული ასპარეზი ახლა გამოვიდით და ამ ასპარეზზე ხანგრძლივად დარჩენა გვსურს. ამისთვის ჩვენ ვიბრძვით, ამისთვის ვიღვწით, ამისთვის ვიტანჯებით. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ერს ცხოვრება აქვს, ვიცით, რომ ჩვენ ერს ცხოვრება ექნება